განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფილოსოფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

4 ნოემბერი, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი

13 დეკემბერი, 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245 428 158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფილოსოფია/ Philosophy
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ფილოსოფიის მაგისტრი/Master of Philosophy
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ფილოსოფია და ეთიკა – 0223
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	–
სწავლების ენა	ქართული

[1]ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2]უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ავტორიზებული/ 2018 წლის 27 აგვისტოს № 56 გადაწყვეტილება;

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯოჯუა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ ბოჭორიშვილი, შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ გოგატიშვილი შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაკა აბულაძე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2015 წლის 24 ივლისს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი №88). პროგრამას აკრედიტაციას ვადა გაუვიდა 2020 წლის 31 დეკემბერს. ამჟამად პროგრამა განაგრძობს ფუნქციონირებას ავტორიზებულ რეჟიმში „საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (ავტორიზებულია 2011 წლიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 04 აგვისტოს №117 და 2018 წლის 27 აგვისტოს № 56 გადაწყვეტილებების შესაბამისად). პროგრამის მოცულობა შეადგენს **120 კრედიტს**, მათ შორის:

- **90 ECTS** კრედიტი სასწავლო კომპონენტი, მათ შორის – 45 **ECTS** კრედიტი სავალდებულო, 45 **ECTS** კრედიტი არჩევითი; **30 ECTS** - სამაგისტრო ნაშრომი
- **პროგრამის ხანგრძლივობა:** 2 აკადემიური წელი
- **სწავლების ენა**: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია -ფილოსოფიის მაგისტრი/Master of Philosophy

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 4 ნოემბერს, ონლაინ რეჟიმში ზუმის პლატფორმის გამოყენებით (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 29/09/2021 #MES 6 21 0000997841 და 15/10/21 #MES 5 21 0001095651 ბრძანებები). ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა, მათ შორის: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებელთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა ასევე დისტანციურად, ზუმის პლატფორმის საშუალებით. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოების/სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა. გადამოწმდა7სამაგისტრო ნაშრომი.ვიზიტის დროს გადამოწმდა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და არსებული რეალური ვითარების ურთიერთშესაბამისობა. ვიზიტი წარიმართა საქმიან და კოლეგიალურ ვითარებაში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანამანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია I, III, IV და V სტანდარტებთან, მეტწილად შესაბამისობაშია II სტანდარტთან.

რეკომენდაციები

1. შეფასების გამჭვირვალობის და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდირებულია გაიწეროს რა პრინციპით ხდება შეფასება - ქულათა მინიჭება მისაღებ გამოცდაზე.

2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს შეფასების რუბრიკები; რეკომენდებულია ასევე განისაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების რუბრიკები, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა;
3. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ვადები შესაბამისობაში მოვიდეს კანონმდებლობასთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. გამომდინარე იქიდან რომ უნივერსიტეტი სასაზღვრო რეგიონში იმყოფება და გლობალურად არის გაზრდილი ინტერესი პოლიტიკური ფილოსოფიის მიმართულებით კარგი იქნებოდა თუ ეს მიმართულება ინგლისურ ენაზე მომზადდება . მით უმეტეს ამის რესურსი საგანმანათლებო პროგრამას გააჩნია
2. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის მოთხოვნის შესაბამისად გაიწეროს როდის, ვის მიერ და სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი
3. სასურველია სამიზნე ნიშნული უფრო ნათლად იყოს ჩამოყალიბებული და დაწესებულების სამიზნე ნიშნულების დოკუმენტს დაემატოს დოკუმენტითვე მოთხოვნილი ინფორმაცია- როდის, ვის მიერ და სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი;
4. სასურველია გადაიხედოს პროგრამის დასაქმების სფეროები და ჩამოყალიბდეს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად
5. სასურველია პროგრამის სტრუქტურის უფრო მკაფიოდ წარმოჩენის მიზნით პროფესიული ინგლისური, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში მითითებულია არჩევითი სასწავლო კურსების შემდეგ, გადმოტანილ იქნას სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში
6. სასურველია იმ სტუდენტისათვის, რომელიც წინა საფეხურის განათლება ამავე მიმართულებით ინგლისურ ენაზე აქვს მიღებული, განსაზღვრული იყოს პროფესიული ინგლისურის ნაცვლად გათვალისწინებული სხვა კურსი

7. სასურველია, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესორ-მასწავლებლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ შეცვალონ დასკვნითი და შუალედური გამოცდის ქულების გადანაწილება არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.
8. გაუმჯობესდეს განმავითარებელი უკუკავშირის ხარისხი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოხდეს ამ საკითხის მონიტორინგი
9. სასურველია, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ჩართულობით.
10. საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაფართოების მიზნით, სასურველია მეტად გაძლიერდეს საერთაშორისო სასწავლო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობა.
11. სასურველია, ადმინისტრაციის მხრიდან გაცვლითი პროგრამების შესახებ სტუდენტებთან შეხვედრების ორგანიზება მათი დაინტერესების მიზნით.
12. სასურველია სათანადოდ უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტთა განმავითარებელი უკუკავშირი, მიმდინარე აქტივობებზე, შუალედურ და საბოლოო გამოცდებზე მათ მიერ დაშვებული შეცდომებისა და მათი გამოსწორების გზების შესახებ ინფორმაციის მეტად მიწოდების გზით.
13. სასურველია ფაკულტეტის მხირდან გააქტიურდეს კონფერენციებისა და ტრენინგების დაგეგმვა დისტანციურ ფორმატში ან/და კოვიდ რეგულაციების დაცვით.
14. სასურველია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას სტუდენტებს დამატებით კონსულტაცია გაეწიოთ, რათა ნაშრომები ეფუძნებოდეს თემის გარშემო არსებულ მრავალფეროვან ლიტერატურას (კვლევებს, სამეცნიერო სტატიებს და სხვა) და მეტი ყურადღება დაეთმოს სამეცნიერო ბაზების გამოყენებას თანამედროვე კვლევების ანალიზთან დაკავშირებით.
15. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ბიუჯეტში ჩაშლილი იყოს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე

ექპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის სპეციალობის მისაღები გამოცდის პროცედურისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. მოწოდებულ დოკუმენტში (სამუშაო ვერსია) იყო ინფორმაცია შეფასების კრიტერიუმების შესახებ და არ იყო მოწოდებული ინფორმაცია ამ

კრიტერიუმების გაზომვადობის შესახებ - რა პრინციპით ხდება შეფასება - ქულათა მინიჭება მისაღებ გამოცდაზე. არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი "ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის სპეციალობის მისაღები გამოცდის პროცედურა და შეფასების კრიტერიუმები", რომელშიც მოცემულია დაწვრილებითი ინფორმაცია შეფასების კრიტერიუმების და ქულათა ფორმირების შესახებ, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილი საბოლოო დოკუმენტით გაწერილი შეფასება განსხვავებულია ვიზიტის დროს მოწოდებული დოკუმენტისგან.

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის შესახებ" 27[2] მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე: ,,ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება აკრედიტაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა სააკრედიტაციო ვიზიტის შემდეგ" თანახმად ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ეს დოკუმენტი.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით - დაწესებულების მიერ მითითებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მუხლი 16, პუნქტი 20 შეეხება **უკვე არადამაკმაყოფილებლად (insufficient) შეფასებული ნაშრომის ხელმეორედ შესაფასებლად წარდგენის ვადებს,** ხოლო მუხლი 16, პუნქტი 21 შეეხება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის ვადის გახანგრძლივების შესაძლებლობას ერთ წლამდე ვადით **საპატიო მიზეზის** (თუ ბსუ–ს მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები არ შესრულდება) **არსებობის შემთხვევაში.**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების, მე-4 მუხლის, მერვე პუნქტის მიხედვით კი სამაგისტრო ნაშრომის შეფასება შესაძლებელი უნდა იყოს სტუდენტის მიერ მუშაობის დასრულების **მომდევნო სემესტრშიც ზემოთ აღნიშნული საპატიო მიზეზის არსებობის გარეშეც.**
შესაბამისად, ექპერტთა ჯგუფის მიერ არ მოხდა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინება ამ რეკომენდაციასთან მიმართებით.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

4. მისასალმებელი პრაქტიკაა მულტიფუნქციური ელექტრონული პორტალი, რომელიც საშუალებითაც შესაძლებელია ეფექტიანად ხარისხის შიდა მექანიზმების განხორციელება - მათ შორის, გამოკითხვების ჩატარება, მონაცემების დამუშავება, პერსონალის შეფასება და ა. შ. პორტალი ასევე ამარტივებს სტუდენტური სერვისებით სარგებლობას.
5. ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის ფონზე უნივერსიტეტმა ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტებს, თანხის გადაუხდელობის გამო არ შეუჩერა სტუდენტის სტატუსი და მისცა საშუალება გაეგრძელებინათ სწავლა.

6. **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

7. მოხდა ფილოსოფიის ისტორიის და პოლიტიკური ფილოსოფიისმოდულის მოდიფიცირება, შემუშავდამოდული ეთიკა, რომელმაც მთლიანად ჩაანაცვლა „რელიგიის ფილოსოფიის“ მოდული, და განიცადა სტრუქტურული და შინაარსობრივი ცვლილება. სასწავლო კურსებში განხორციელდა შინაარსობრივი ცვლილებები, ის სასწავლო კურსები, რომელთა მიზნებისა და შედეგების პრიორიტეტი განისაზღვრებოდა ქართული ფილოსოფიური აზროვნების სფეროში დამკვიდრებული კვლევა-ძიების ტრადიციის გაგრძელებით, გაერთიანდა მეორე მოდულში სახელწოდებით „ქართული ფილოსოფია თანამედროვეობის კონტექსტში“. მოდიფიცირება მოხდა სასწავლო კურსების სათაურებშიც, ცალკეული სასწავლო კურსებისთვის მომზადდა ახალი სილაბუსები
8. სასწავლო კურსების გადაფარვის გამორიცხვის თვალსაზრისით გაერთიანდა რამდენიმე სასწავლო კურსი;
9. მიღების წინაპირობებში გაზარდა მოთხოვნა ინგლისური ენის ცოდნასთან დაკავშირებით და მოითხოვება ინგლისური ენის B2 დონე და ასევე, პროგრამაში სავალდებულო კომპონენტად არის გათვალისწინებული პროფესიული ინგლისურის კურსი.
10. პროგრამაში გაძლიერდა პრაქტიკული მხარე
11. მაგისტრანტს შესაძლებლობა ეძლევა ერთდროულად დაეუფლოს სამივე მოდულს. ამავე დროს, მაგისტრანტებს შესაძლებლობა ეძლევათ სავალდებულო

კურსების პარალელურად აირჩიონ მათი ინტერესის შესაბამისი სასწავლო კურსები.

12. აკადემიური პერსონალის მაღალი რანგის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა
13. აკადემიური პეროსონალის კვლევის ფინანსური მხარდაჭერა და აკადემიური შვებულების აღების შესაძლებლობა

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ ნათლად არის გაცნობიერებული რაც უფრო მაღალია ფილოსოფიური სწავლების და კვლევის ჩართულობა საუნივერსიტეტო განათლების სისტემაში მით უფრო მაღალია საუნივერსიტეტო განათლების ხარისხი და საკუთრივ უნივერისტეტის სტატუსი. პროგრამის მიზნები მოიცავს ფილოსოფიის მაგისტრის, როგორც ფილოსოფოს-ანალიტიკოსის დასაქმების არეალს. პროგრამა არსებითად ითვალისწინებს ცოდნაზე ორიენტირებული ეკონომიკის მოთხოვნებს და პასუხობს ცოდნის ბაზარის, როგორც ადგილობრივ ასევე გლობალურ მოთხოვნებს. პროგრამა ითვალისწინებს და ასევე ისახავს მიზნად მისი ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ზრდას. საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობაში ხაზი ესმევა ფილოსოფიის როგორც განსხვავებულ ცოდნათა მაინტეგრირებელი დარგის ფუნდამენტურ მნიშვნელობას. პროგრამა თანამედროვე მსოფლიოს ღირებულებათა გადაფასების კონტექსტში ითვალისწინებს თავისი კვლევითი და სასწავლო ამოცანების განსაზღვრას, სადაც მსოფლმხედველობრივი, პოლიტიკური და რელიგიური დაპირისპირებები და ბრძოლა აშკარად ვლინდება. პროგრამა პრობლემურად იაზრებს თანამედროვე ფილოსოფიის ამოცანებს

თანამედროვეობის გლობალური პროცესების ფილოსოფიური განაზრებების კონტექსტს. გლობალურად ღირებულებათა დევალვაციის და საზოგადოებრივი ცხოვრების დივერგენციის ფონზე ფილოსოფიის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანას წარმოადგენს (და სულ უფრო მეტად აქტუალური და გადაუდებელი ამოცანა ხდება), ჩვენი ეპოქისთვის დამახასიათებელი არაერთი სპეციფიკური ნიშან–თვისებათა ფილოსოფიური ანალიზი. ამიტომაც პროგრამა ფილოსოფიის ტრადიციული დარგებისა და მიმართულებების კვლევასთან ერთად, აკადემიურ სივრცეში ზოგადად ადამიანის არსის დამახასიათებელი პრობლემების იმგვარი კვლევას და სწავლებას ისახავს , რომელიც ეთიკის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიისა და პოლიტიკური ფილოსოფიის საზღვრით საკითხებს აერთიანებს. პროგრამაში ხაზი ესმევა ქართული ფილოსოფიური აზროვნების და კვლევის მრავალ საუკუნოვან უწყვეტ ტრადიციას. ამ კონტექსტში ხდება სწავლისა და კვლევის ერთობლიობის კონსტრუირება. პროგრამისათვის არსობრივად არის დამახასიათებელი კვლევლევის და სწავლების ერთობლიობის პრინციპი და მისი სასწავლო პროცესში განუხრელი იმპლემენტაცია. კვლევის და სწავლა-სწავლების ამოცანებიდან გამომდინარე პროგრამა სამი არჩევითი მოდულის სახით არის დასახსრული და

პროგრამის მიზნები შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული

I - მოდულებიდან ერთობლივად მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ფილოსოფიური კვლევის მეთოდოლოგიის, ფილოსოფიის უახლესი მიღწევებისა და კვლევის შედეგების შესახებ, ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში დასავლური ფილოსოფიური აზროვნების მრავალმხრივი კვლევის შედეგებზე; ახალი დროის ქართული ფილოსოფიის სპეციფიკის, მაკონსტრუირებელი პრინციპების, მეთოდოლოგიური მიდგომების და პრიორიტეტული დარგების, ევროპული ფილოსოფიის ტრადიციების ათვისების, გააზრებისა და გადააზრების, რეცეფციისა და ტრანსფორმაციის გზების შესახებ. ეთიკის თანამედროვე დარგების, თეორიებისა და მიმდინარეობების აქტუალური საკითხებისა და კვლევის მეთოდიკაზე. პოლიტიკური ფილოსოფიის საკვანძო ცნებების და ფენომენების, აქტუალური საკითხების, ძირითადი პარადიგმების, კლასიკური და თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის ტენდენციების,

მედიისა და ძალაუფლების, ფემინისტური პოლიტიკური ფილოსოფიის, ადამიანის უფლებათა ფილოსოფიის აქტუალური პრობლემების შესახებ; II - მოდულებიდან ერთობლივად გააცნობიერებინოს ფილოსოფიური კვლევის მეთოდთა და ფილოსოფიის ისტორიის შესწავლის მნიშვნელობა თანამედროვე აზროვნებისთვის, დასავლური ფილოსოფიის ძირითადი მიმდინარეობების საეტაპო რეცეფციები საქართველოში; ქართულ კულტურაზე აღნიშნული მიმდინარეობების გავლენები და ამ გავლენების სისტემური კვლევა; ქართველ ფილოსოფოსთა კონცეფციები, რომლებმაც განსაზღვრეს ქართული ფილოსოფიის არსი და სპეციფიკა. თანამედროვეობაში ეთიკის სწავლების განსაკუთრებული აქტუალურობის განმაპირობებელი ფაქტორები, თანამედროვე ეთიკური თეორიებისა და ფასეულობების კრიზისთან, მორალური ღირებულებების გადაფასებასთან დაკავშირებული მიზეზები. ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე პოლიტიკური ფილოსოფიის კლასიკური თეორიების წარმომოშობის გარემოებები და ამ თეორიების როლი საზოგადოების გარდაქმნის ხანგრძლივვადიანი პერსპექტივების შემუშავებასა და რეალიზაციაში, პოლიტიკური ფილოსოფიის კვლევის მეთოდოლოგია; III-დააუფლოს შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის ინტერესებიდან გამომდინარე დარგისთვის დამახასიათებელ მეცნიერული კვლევის მეთოდებს, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს, არგუმენტირებული დასკვნების გამოტანის, დისკუსიებსა და დებატებში ჩართულობის, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარებს IV-ჩამოაყალიბოს უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმისა და მისიიდან გამომდინარე, ლიბერალური პრინციპებისა და დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის მქონე თავისუფალი პიროვნება, აქტიური მოქალაქეობისა და მომავალი კარიერისთვის, შრომის ბაზარზე ორიენტირებული სპეციალისტის მახასიათებლებით, რომელიც შეძლებს ადგილის დამკვიდრებას საგანმანათლებლო და დასაქმების სხვადასხვა სფეროში, ასევე სწავლის გაგრძელებას შემდეგ საფეხურზე
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამა

- უნივერსიტეტის მისია
- უნივერსიტეტის წესდება
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და ფაკულტეტის წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გამომდინარე იქიდან რომ უნივერსიტეტი სასაზღვრო რეგიონში იმყოფება და გლობალურად არის გაზრდილი ინტერესი პოლიტიკური ფილოსოფიის მიმართულებით კარგი იქნებოდა თუ ეს მიმართულება ინგლისურ ენაზე მომზადდება . მით უმეტეს ამის რესურსი საგანმანათლებო პროგრამას გააჩნია
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდა

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- აკადემიური პერსონალის მაღალი რანგის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა
- აკადემიური პეროსონალის კვლევის ფინანსური მხარდაჭერა და აკადემიური შვებულების აღების შესაძლებლობა

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებში აღნიშნულია, რომ *ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ (კომპლექსურად მოდულებიდან) კურსდამთავრებული* ახდენს ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების, ევროპული და ქართული ფილოსოფიის, ეთიკისა და პოლიტიკური ფილოსოფიის საკვანძო საკითხების ღრმა და სისტემურ ანალიზს; ევროპული და თანამედროვე ქართული ფილოსოფიის, ეთიკისა და პოლიტიკური ფილოსოფიის სფეროში კაცობრიობის მიერ შეძენილი გამოცდილების ათვისების საფუძველზე თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების გაგებას და მისი გადაჭრის გზების, მეთოდების ჩამოყალიბება-განხორციელებას.

პროგრამის სწავლის შედეგები ეყრდნობა კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებელს და შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს;

პროგრამის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს მდგარდი სისტემა, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან არის აფილირებული და გულისხმობს ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას ამ პროცესში, კერძოდ: პროგრამას მონიტორინგს უწევს ფაკულტეტის კურუკულუმის კომიტეტი და ფაკულტეტის ხარისხის სამსახური, რომლის შემადგენლობაშიც შედიან, როგორც დეპარატამენტის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორები, ასევე აკადემიური/მოწვეული პერსონალი და სტუდენტები. ამ სტრუქტურების მუშაობის ფარგლებში მიმდინარეობს პროგრამის განხორციელების ანალიზი და ახალი კვლევითი და სასწავლო პროექტების

განხილვა. სამუშაო პროცესში კონსულტაციები მიმდინარეობს ფაკულტეტის და პროგრამის ფარგლებში არსებულ კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა საბჭოსთან და მათთან მჭიდრო თანამშრომლობა ხორციელდება.

პროგრამის ხელმძღვანელების მიერ სტუდენტებთან შეხვედრის დროს ხდება პროგრამის კვლევით პროექტებში სტუდენტების მონაწილეობის ხარისხის განსაზღვრა, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეჯერება და შეთანხმება სტუდენტების ინტერესებთან.

მოცემული მეთოდოლოგიის მიხედვით წარმოდგენილი ბაზრის კვლევა არის არასრულყოფილი და საჭიროებს დახვეწას. ბაზრის უკეთ კვლევისათვის დაწესებულება მუშაობს ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიაზე. მეთოდოლოგია მუშავდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მიერ პროგრამის ხელმძღვანელებთან კონსულტაციის საფუძველზე. ვიზიტის დროს წარმოადგინეს მეთოდოლოგიის პროექტი და ამ დოკუმენტის შემუშავების შემდეგ, დაწესებულება გეგმავს დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად ბაზრის კვლევის ჩატარებას

საგანმანათლებლო პროგრამას აქვს შვიდი შედეგი. თითოეული სწავლის შედეგზე გასვლას უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსები. თითოეულ სწავლის შედეგზე გასვლა შესაძლებელია სავალდებულო კურსებით. პროგრამას შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

შემუშავებული აქვთ სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა. მითითებული აქვთ რომელი კურსი რა დონით უზრუნველყოფს სწავლის შედეგზე გასვლას : 1- გაცნობა 2 გაღრმავება, 3 -განმტკიცება-

დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში სახელწოდებით "სამიზნე ნიშნულები", დოკუმენტის დასაწყისშივე წერია რომ "პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა მოიცავს: რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ და სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი"; თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტში **არ არის მოცემული** როდის, ვის მიერ და სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. **სასურველია** დაწესებულების შესაბამისი დოკუმენტის მოთხოვნის შესაბამისად გაიწეროს სამიზნე ნიშნულების დოკუმენტი და დაემატოს აღნიშნული ინფორმაცია.

პროგრამის სწავლის შედეგების პირველი შეფასება დაიწყება პროგრამის ამოქმედებიდან (2021წ.) და დასრულდება სწავლების პირველი ციკლის დასრულების შემდეგ (2023 წწ.). ასე გაგრძელდება ყოველი მომდევნო ციკლის დასრულების შემდეგაც და სააკრედიტაციო ვადის გასვლის მოახლოებისას, სრული პროგრამული ციკლის დასრულების შედეგების საფუძველზე მოხდება საბოლოოდ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება.

პროგრამის კონკრეტულ სამიზნე ნიშნულად აღებულია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროგრამის კურსდამთავრებულთა კარგი, საშუალო და დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების ზღვრული შეფასების 70%, არითმეტიკული გაანგარიშებით. სამიზნე ნიშნულის ფორმულირება არის ბუნდოვანი და სასურველია იგი უფრო ნათლად იყოს ჩამოყალიბებული.

სამიზნე ნიშნულების შეფასება ხდება იმ სასწავლო კურსებში, სადაც სწავლის შედეგების მიღწევა ხდება განმტკიცების დონეზე და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მიხედვით.

პროგრამაში დასაქმების სფეროები განსაზღვრულია შემდეგნაირად - ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი შეიძლება დასაქმდეს:

- განათლების სფეროში, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციების გათვალისწინებით;
- კერძო და საჯარო სექტორში, სახელმწიფო, თვითმართველობის ორგანოებში;
- საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში;
- საზოგადოებრივ და კომერციულ სტრუქტურებში;
- სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში (ინსტიტუტებში, არქივებში), ანალიტიკურ-კვლევით ჯგუფებში;
- განათლების/მეცნიერული უზრუნველყოფის მართვის ცენტრებში/ორგანოებში;
- პროფესიული განათლების შესაბამის ექსპერტ-კონსულტანტებად;
- კულტურულ და სოციალურ დაწესებულებებში;
- გამომცემლობებსა და მედია საშუალებებში

  და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმებულნი არიან სხვადასხვა პოზიციაზე - შემოსავლების სამსახური, საბაჟო დეპარტამენტი, მუსლიმთა სამმართველო, სკოლა - კურსდამთავრებულები ფიქრობენ რომ აღნიშნული პროგრამა დაეხმარათ მათ, რომ ისინი მათ დღევანდელ პოზიციაზე ყოფილიყვნენ წარმატებულები, მათი დამსაქმებლების მოსაზრებით, კურსდამთავრებულების წარმატება უფრო მეტად მათი დასაქმებულების პიროვნული თვისებებით არის გამოწვეული. **სასურველია** პროგრამაში დაკორექტირდეს დასაქმების სფეროები და უფრო მეტად მოერგოს პროგრამის სწავლის სფეროს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამა o პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა და სამიზნე ნიშნულები o დამსაქმებელთა გამოკითხვა და შედეგების სტატისტიკა o პროგრამის შეფასების გეგმა o ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ● პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის მოთხოვნის შესაბამისად გაიწეროს როდის, ვის მიერ და სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი; ● სასურველია სამიზნე ნიშნული უფრო ნათლად იყოს ჩამოყალიბებული და დაწესებულების სამიზნე ნიშნულების დოკუმენტს დაემატოს დოკუმენტით მოთხოვნილი ინფორმაცია- როდის, ვის მიერ და სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. ● სასურველია გადაიხედოს პროგრამის დასაქმების სფეროები და ჩამოყალიბდეს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და	√			

მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი მოქმედი კანონმდებლობის წესის თანახმად. ამისათვის საჭიროა ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; ერთიანი სამაგისტრო გამოცდები; საუნივერსიტეტო გამოცდები ინგლისურ ენასა (B2 დონე) და სპეციალობაში; სამაგისტრო გამოცდა სპეციალობაში ტარდება წერითი ფორმით. აბიტურიენტი წერს ერთ თემას (არგუმენტირებულ ესსეს) ვებ-გვერდზე განთავსებული წინასწარ ჩამოთვლილი თემებიდან, მითითებული ტექსტების და აგრეთვე მეორადი ლიტერატურის გამოყენებით. მეორად ლიტერატურას არჩევს აბიტურიენტი თავად, მათ შორის უცხო ენაზე. საგამოცდო რეფერატი ფასდება 100 ქულით. მაგისტრატურის

მისაღები საგამოცდო რეფერატის შეფასების კრიტერიუმებია საკითხის დასმა და თანამიმდევრულობა – 15 ქ. მასალების შესწავლა და წარმოჩენა – 15 ქ. ლიტერატურის/წყაროების გამოყენება და სისტემატიზაცია – 20 ქ. დასმული პრობლების განხილვის, არგუმენტაციის და ანალიზის უნარი – 30 ქ.; ტექნიკური და სტილისტური გამართულობა – 20 ქ.. . ინგლისური ენა (B2 დონე), რეკომენდირებულია გაიწეროს შეფასების კრიტერიუმების ქულათა ჩაშლა. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომელთაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ან მისი ეკვივალენტური განათლება, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად. ასეთი პირები ბსუ-ში გაივლიან გასაუბრებას ქართულ ენაში (იხ. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 01 მარტის N34 დადგენილება).
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამა o www.bsu.edu.ge/ https://bsu.edu.ge/sub-8/program/3/index.html o ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან და სტუდენტებთან. o ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 01 მარტის N34 დადგენილება o ბსუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111-ე დადგენილება
რეკომენდაციები: შეფასების გამჭვირვალობის და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდირებულია გაიწეროს რა პრინციპით ხდება ქულათა მინიჭება მისაღებ გამოცდაზე .

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა: ბსუ - ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენს სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას . პროგრამის ხანგრძლივობა 2 აკადემიური წელია, სწავლების ენა ქართულია.

პროგრამის მოცულობა 120 (ECTS) კრედიტი:

90 ECTS კრედიტი სასწავლო კომპონენტია, მათ შორის – 45 ECTS კრედიტი სავალდებულო, 45 ECTS კრედიტი არჩევითი; 30 ECTS - სამაგისტრო ნაშრომი.ფილოსოფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია სავალდებულო კურსების და სამი მოდულის სახით. სავალდებულო კურსებსწარმოადგენენ 1.ფილოსოფიის ისტორია და თანამედროვეობა; 2. ფილოსოფიური კვლევის მეთოდიკა და პრაქტიკა; 3. პროფესიული ინგლისური.

პროგრამაში არის სამი მოდული, მოდულის შიგნით არჩევითი საგნების საფუძველზე სტუდენტები სწავლას თავის გემოვნების და არჩევანის მიხედვით თავად აგეგმარებენ

1. მოდული ქართული ფილოსოფია თანამედროვეობის კონტექსტში. მოიცავს მოდულის შიდა ორ სავალდებულო კურსს 1.„ევროპეიზმი“ ახალი დროის ქართულ ფილოსოფიაში 2.ალეთეიოლოგიური რეალიზმი . არჩევითი კურსები3.ნეოპლატონიზმის, რენესანსისა და ჰუმანიზმის საკითხები ქართულ ფილოსოფიაში4.გერმანული კლასიკური ფილოსოფია XX ს. ქართულ ფილოსოფიაში5. სიცოცხლის ფილოსოფია საქართველოში.
2. მოდული ეთიკა. სავალდებულო კურსები 1.ეთიკის ისტორიის აქტუალური საკითხები 2. ეთიკის თანამედროვე დარგები. კვლევის მეთოდიკა. არჩევითი კურსები 1. ეთიკა პოსტმოდერნის ეპოქაში 2. მეცნიერების ეთიკა 3.რელიგიური ეთიკის კვლევის თანამედროვე ასპექტები 4 ეთიკა და ფილოსოფიური ანთროპოლოგია.5 ბიოეთიკა. პრობლემები და დილემები 6. მორალი და პოლიტიკა

3. მოდული პოლიტიკური ფილოსოფია. სავალდებულო კურსები1. სისტემური კურსი2. პოლიტიკური ფილოსოფიის კლასიკური თეორიების იმპლიკაციები.

   არჩევითი კურსები. 1. პოლიტიკური ფილოსოფიის მეთოდოლოგია 2. თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფია 3. დემოკრატიის ფილოსოფიური პარადიგმები 4.ფემინისტური პოლიტიკური ფილოსოფია5.მედია და ძალაუფლება. 5. ადამიანის უფლებათა ფილოსოფია

4. კურსი მთავრდება სამაგისტრო კვლევითი ნაშრომით რომელშიც მჟღავნდება სტუდენტის თეორიული მომზადების ხარისხი და კვლევითი უნარები

   სამაგისტრო პროგრამა მთლიანობაში - მიღების წინაპირობებით, საასწავლო კურსებით, კვლევითი კომპონენტის გათვალისწინებით საბოლოო შედეგზე გასვლას ნათლად აჩვენებს. პროგრამის სტრუქტურა კარგად არის დასახსრული, წინაპირობები შესაბამისადაა განსაზღვრული და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლას.

საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია ფილოსოფიის მაგისტრი - შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამის სასწავლო გეგმაში სავალდებულო კურსები (ყველა მოდულისათვის) განსაზღვრულია 15 კრედიტი, თუმცა მითითებულია მხოლოდ ორი სასწავლო კურსი (ჯამში 10 კრედიტი). დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს ამ საკითხთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით მესამე სავალდებულო სასწავლო კურსს წარმოადგენს პროფესიული ინგლისური: ფილოსოფია (5 კრედიტი), რომელიც სასწავლო გეგმაში არჩევითი სასწავლო კურსების შემდეგ #27 სასწავლო კურსად არის მითითებული და ამ განმარტების გარეშე წარმოდგენას ქმნის რომ არის მესამე მოდულის არჩევითი სასწავლო კურსი. ამიტომ, პროგრამის სტრუქტურის უფრო მკაფიოდ წარმოჩენის მიზნით სასურველია პროფესიული ინგლისური, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში მითითებულია არჩევითი სასწავლო კურსების შემდეგ, გადმოტანილ იქნას სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში.

ვინაიდან გვხვდება ასეთი შემთხვევები, სასურველია იმ სტუდენტისათვის, რომელთაც წინა საფეხურის განათლება ამავე მიმართულებით ინგლისურ

ენაზე აქვს მიღებული, განსაზღვრული იყოს პროფესიული ინგლისურის ნაცვლად გათვალისწინებული სხვა კურსი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნვ. წესის დამტკ. შესახებ“ https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8380_1.pdf
- ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამა
- ფილოსოფიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- კურიკულუმის რუკა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის სტრუქტურის უფრო მკაფიოდ წარმოჩენის მიზნით პროფესიული ინგლისური, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში მითითებულია არჩევითი სასწავლო კურსების შემდეგ, გადმოტანილ იქნას სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში
- სასურველია იმ სტუდენტისათვის, რომელიც წინა საფეხურის განათლება ამავე მიმართულებით ინგლისურ ენაზე აქვს მიღებული, განსაზღვრული იყოს პროფესიული ინგლისურის ნაცვლად გათვალისწინებული სხვა კურსი

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ს ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტი წარმოდგენილია 27 სასწავლო კურსის სახით. უნდა აღინიშნოს რომ სილაბუსებში ნათლად იკვეთება პროფესორ მასწავლებელთა კვლევითი ინტერესების ტრანსფერაცია სასწავლო მასალებში. პროგრამაში განხორციელებულია კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში იმპლემენტაციის პრინციპი. სილაბუსები შესრულებულია მაღალი პროფესიული კომპეტენციით და გათვალისწინებულია თანამედროვე ფილოსოფიური კვლევის

უახლესი მიღწევები. პროგრამა ფილოსოფიური დისციპლინების სტრუქტურირებული პრინციპის სახით არის დალაგებული. თითოეული მოდულის საგანთა ერთობლიობა ნათელ წარმოდგენას ქმნის რა მიმართულებით უნდა ცოდნის გაღრმავება სტუდენტს. ქართული ფილოსოფიის, ეთიკის და პოლიტიკური ფილოსოფიის მოდულები ინარჩუნებენ ავტონომიურობას და არ არიან საგნობრივ კვეთაში სხვა მოდულებთან. ძირითადი სფეროს სასწავლო კურსები აგებულია პროგრამის სასწავლო მოდულების მიზნების შესაბამისად თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ლოგიკურ ბმაშია პროგრამის მიერ დასახულ სასწავლო მიზანთან.

სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შერჩეულია მაღალკვალიფიციურად და ეფუძნება დარგში უახლეს მიღწევებს. სასწავლო კურსები თანხვედრაშია დასავლური უნივერსიტეტების სასწავლო კურსებთან. სასწავლო მასალებში აღწერილი თემატიკები შესაბამისობაშია თანამედროვე კვლევით პრობლემებთან და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს;

ქართული ფილოსოფიის მოდულის სილაბუსებში გამოყენებული ლიტერატურა ითვალისწინებს როგორც ტრადიციული კვლევის სფეროებს და ავტორებს, ასევე ქართული ფილოსოფიური აზროვნების რეცეფციებისა და ტრანსფორმაციებს თანამედროვე სამყაროში. (იხილეთ განმახორციელებელი პერსონალის სილაბუსები). პოლიტიკური ფილოსოფიის და ეთიკის მოდულის სილაბუსებში გამოყენებული ლიტერატურა ეყრდნობა როგორც ავტორების ორიგინალურ კვლევებს და მათსავე თარგმანებს, ასევე მიმართულებაში არსებულ უახლეს გამოკვლევებსა და ლიტერატურას. (იხილეთ მაგ. პოლიტიკური ფილოსოფიის და ეთიკის მოდულების სილაბუსები). სილაბუსებში გათვალისწინებულია თანამედროვე სწავლების თითქმის ყველა მოთხოვნები. საკუთრივ შემთხვევაში თავად სილაბუსის ავტორები არიან ამჟამინდელ საქართველოში დარგობრივი კვლევის წამყვანი პერსონები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამა
- კურიკულუმის რუქა
- ფილოსოფიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

o ინტერვიუს შედეგები პროგრამაში წარმოდგენილი სალექციო კურსის ლექტორებთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **v** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამა სხვადასხვა ფორმითა და პრინციპებით უზრუნველყოფს სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. ეს პრინციპი თავად პროგრამის სტრუქტურაში იკვეთება. პროგრამა სავალდებულო მეთოდოლოგიური კურსების მოსმენით იწყება და შემდეგ საკუთრივ მოდულები (ქართული ფილოსოფია, ეთიკა და პოლიტიკური ფილოსოფია) ხდება დაკონკრეტება სწავლის, კვლევითი პრობლემებისა და მიზნის. ვიზიტის დროს გავეცანით ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დაცულ სამაგისტრო ნაშრომებს. . სამაგისტრო ნაშრომები აკმაყოფილებდნენ სამაგისტრო საფეხურისთვის შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ინტერვიუებში აშკარად ჩანდა პროფესორ-მასწავლებლების მხრიდან მოთხოვნილება რომ სტუდენტები უფრო ფართოდ ყოფილიყვნენ ჩართულები საერთო კვლევით პროექტებში თუმცა გარკვეული მიზეზების გამო სტუდენტების მხრიდან ერთგვარი პასიურობა შეინიშნებოდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სამაგისტრო პროგრამა o მემორანდუმები საერთაშორისო პარტნიორებთან და კვლევით ცენტრებთან o ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფილოსოფიის პროგრამა იყენებს სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდს, როგორებიცაა:

ა) ლექცია; ბ) სემინარი/პრაქტიკული მუშაობა; გ) ელექტრონული სწავლება; დ) ელექტრონული რესურსებით სწავლება; სხვა. სწავლება-სწავლა ხორციელდება

შემდეგი მეთოდების გამოყენებით: ფილოსოფიური მეთოდები: ჰერმენევტიკული მეთოდი, ევრისტიკული მეთოდი, დიალექტიკური მეთოდი, ფენომენოლოგიური მეთოდი და სხვა; , პირველწყაროებსა და ტექსტებზე მუშაობის მეთოდი; პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; ინტერაქტიური სწავლება; ისტორიულ-ფილოსოფიური და კონტექსტუალური ანალიზი; დისკუსია/დებატები; ინდუქცია და დედუქცია; ანალიზი და სინთეზი; აბსტრაგირება და სხვა ამ მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიღწევას.

სამაგისტრო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების სამაგისტრო საფეხურს და კურსის შინაარსს და შესაბამისობაშია ფილოსოფიის სწავლების ახლად მიღებულ დარგობრივ მახასიათებელთან. სტუდენტებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, უნივერსიტეტში სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი, პროფესორ-მასწავლებლები ითვალისწინებენ სტუდენტის ინტერესებს და ითვალისწინებენ სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

სასწავლო კურსებს ახასიათებს მეთოდოლოგიური სიცხადე და ლოგიკური კავშირი სწავლის მეთოდოლოგიას და სწავლის შედეგებს შორის. მაგალითისათვის, კურსში თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფია სასწავლების მეთოდები და შესაბამისი აქტივობები განსაზღვრულია ზემოთ მოცემული მეთოდების მიხედვით. სწავლების მიზნის მისაღწევად გამოყენებულია თითქმის ყველა აქტივობა. მაგალითად, კურსში "თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფია" სწავლის შედეგებში ჩამოყალიბებული პოლიტიკური აბსტრაქტულობის დეკონსტრუქციის ხერხები ცოდნა და გაცნობიერება მიიღწევა სასწავლო მასალაში გაწერილი რიჩარდ რორტის ტექსტის Contingency, Irony, and Solidarity ანალიზის მეთოდის გზით, სადაც ირონია როგორც პოლიტიკურის ხედვის მეთოდოლოგია უპირისპირდება სისასტიკეს და ახდეს პოლიტიკური აბსტრაქტულობის დეკონსტრუქციას.

ანალოგიურად, კურსში ,,ალეთეიოლოგიური რეალიზმი" სწავლის შედეგებში გაწერილი უნარების ერთერთი შესაძლებლობა - სქემაში ეფექტურად გამოიყენოს ალეთეიოლოგიურ რეალიზმში მოცემული ლოგიკურად მწყობრი, თანმიმდევრული არგუმენტაცია თანამედროვე ფილოსოფიის წინაშე არსებული

პრობლემების სისტემური ანალიზის პროცესში. საწავლო მასალაში გაწერილი ალეთეიოლოგიური მეთოდის სწავლებას უზრუველყოფს დისკუსის მეთოდი მოცემული თემაზე: „თავისუფლება - ღირებულება - ჭეშმარიტება".

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა და სილაბუსები
- ფილოსოფიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან მეტწილად შესაბამისია. o სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად სემესტრის განმავლობაში გამოიყენება ცოდნის შეფასების 100 ქულიანი სისტემა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, ყველა სასწავლო კურსის დასკვნითი გამოცდა 40, ხოლო შუალედური გამოცდა 20 ქულით ფასდება, ამასთან დარჩენილი 40 ქულა პროფესორ-მასწავლებლის სურვილისამებრ ნაწილდება მიმდინარე აქტივობების შესაფასებლად, ამ მხრივ **სასურველია,** რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესორ-მასწავლებლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ შეცვალონ დასკვნითი და შუალედური გამოცდის ქულების რაოდენობა. სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, დასკვნითი შეფასების მინიმალური ზღვარი არ აღემატება 60%-ს, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. ამასთან სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით დადგენილია შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარი. o შუალედური შეფასებისთვის შუალედური გამოცდის გარდა, გამოიყენება ისეთ მრავალჯერადი შეფასების კომპონენტები, როგორიცაა წერითი გამოკითხვა,

პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა და ა.შ. შესაბამისად, შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდები მეტწილად იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რაც მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. ამრიგად, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები მეტწილად ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების უმრავლესობაში არ არის მოცემული მეტწილი შეფასებების რუბრიკები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3ბრძანებით სავალდებულოა, რომ: შეფასების თითოეული ფორმა მოიცავდეს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომებოდეს შეფასების კრიტერიუმებით.

სასწავლო კურსებში არ არის მოცემული შეფასების ცხადი რუბრიკები

მაგალითად- ევროპეიზმი ახალი დროის ქართულ ფილოსოფიაში, ალეოთოლოგიური რეალიზმი, ნეოპლატონიზმის ,რენესანსისა და ჰუმანიზმის საკითხები ქართულ ფილოსოფიაში, ფილოსოფიის ისტორია და თანამედროვეობა

და სხვ.

- რამდენიმე სილაბუსში მოცემულია მოცემულია მხოლოდ პრობლემაზე დაფუძნებული დისკუსიის რუბრიკა;
- ხოლო სხვა შეფასებებში - მაგალითად ტექსტების ანალიზი, თემის პრეზენტაცია, და სხვ. მოცემულია მხოლოდ კრიტერიუმების მაქსიმალური ქულები, არ ჩანს მოცემული კრიტერიუმების ჩაშლა - როგორ იწერება ქულა აღნიშნული კრიტერიუმებით.

რეკომენდებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის და 1[1] მუხლის „მ“ პუნქტის თანახმად, სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს შეფასების რუბრიკები, რომლებიც წინასწარ იქნება ცნობილი სტუდენტებისთვის.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, არსებობს ხუთი სახის დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

და ორი სახის უარყოფით შეფასება:

(FX) ვერ ჩაბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად საჯაროდ დაცვის დროს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემის მიხედვით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო. მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

აღსანიშნავია, რომ არ არის მოცემული სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების ქულობრივი გრადაცია. დაწესებულებამ წარმოადგინა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ფორმა, რომელშიც მოცემულია ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებისთვის განსაზღვრული მაქსიმალური ქულები, მაგრამ სტუდენტებისგან ვერ მივიღეთ დადასტურება იმისა, რომ მათ წინასწარ აქვთ ინფორმაცია კრიტერიუმებისთვის განსაზღვრული ქულების შესახებ და ასევე, შეფასების რუბრიკების შესახებ არ არის წარმოდგენილი რაიმე სახის დოკუმენტი. ეს სტუდენტებმაც და კურსდამთავრებულებმაც დაადასტურეს ინტერვიუზე და აღნიშნეს, რომ მათ დაეხმარებოდათ შეფასების რუბრიკების წინასწარ ცოდნა.

რეკომენდებულია უსდ-მ განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების რუბრიკა, და უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 16. სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, მომზადებისა და დაცვის პროცედურები-ის 11 პუნქტის შესაბამისად "სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას" რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანებას, რომლის მე-4 მუხლის, მერვე პუნქტის მიხედვით "სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე **ან მომდევნო სემესტრში**, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას".

რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სემესტრი განისაზღვროს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მუხლი 4, პუნქტი 8-ის შესაბამისად და სამაგისტრო ნაშრომის შეფასება შესაძლებელი იყოს სტუდენტის მიერ მუშაობის დასრულების **მომდევნო სემესტრშიც.**

დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი გადის რეცენზირებას და მოწმდება პლაგიატის პროგრამის მეშვეობით, რაც მისასალმებელი პრაქტიკაა. ბსუ-ში 2018-2019 სასწავლო წლიდან დაინერგა პლაგიატის გამოვლენის სპეციალური პროგრამა „Turnitin", რომელიც დაინსტალირდა Moodle-ს სისტემაში, უსდ-ის აკადემიური საბჭოს № 06-01/50 და №06-

01/71 დადგენილებებით განსაზღვრულია აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვისა და ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების სტანდარტები.
საჯარო დაცვის კომისიის შემადგენლობაში შედის შესაბამისი დარგის აკადემიური ხარისხის მქონე ხუთი პირი. კომისიის შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

პროგრამის სტუდენტებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, აღნიშნული მიზნისათვის გამოიყენება ელექტრონული პორტალი, თუმცა, სტუდენტთა ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის ფარგლებში სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი განმავითარებელი უკუკავშირი. პროგრამის კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ კარგი იქნებოდა თუ ექნებოდათ შესაძლებლობა მიეღოთ დეტალური განმარტებები როგორც აქტივობებზე აგრეთვე შუალედურ და საბოლოო გამოცდებზე მათ მიერ დაშვებული შეცდომებისა და მათი გამოსწორების გზების შესახებ.

პროგრამის დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, რაც ასევე დადასტურდა პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხრიდანაც. აპელაციის მექანიზმის მიხედვით, შუალედური ან დასკვნითი გამოცდის შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 3 დღისა, სტუდენტი წერილობით საჩივარს წარადგენს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში, რომელიც რეაგირებისთვის გადაეცემა შესაბამისი საგნის ლექტორს. იმ შემთხვევაში, თუ საგნის ლექტორი შეფასებას ობიექტურად მიიჩნევს, ხოლო სტუდენტი კვლავ არ დაეთანხმება მის პოზიციას, დეკანს უფლება აქვს საჩივარი განსახილველად გადასცეს კომისიას.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად, რაც დადასტურდა აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

14. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს შეფასების რუბრიკები; რეკომენდებულია ასევე განისაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების რუბრიკები, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა;
15. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ვადები შესაბამისობაში მოვიდეს კანონმდებლობასთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესორ-მასწავლებლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ შეცვალონ დასკვნითი და შუალედური გამოცდის ქულების გადანაწილება არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

- გაუმჯობესდეს განმავითარებელი უკუკავშირის ხარისხი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოხდეს ამ საკითხის მონიტორინგი

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ბსუ) ფილოსოფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - საგანმანათლებლო პროგრამა) აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

სტუდენტებმა ინტერვიუების პროცესში დაადასტურეს, რომ აკადემიური პერსონალი კურსის დასაწყისში აცნობს მათ სასწავლო კურსის სილაბუსს, სწავლის მიზნებს, შედეგებს, შინაარს, შეფასების სისტემას. მათ ასევე აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ საკონსულტაციო საათით. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მათი უფლებების, კანონიერი ინტერესების დაცვის, კარიერული განვითარებისა და სტუდენტური სერვისების შესახებ მიიღონ ინფორმაცია გზამკვლევიდან, რომელიც განთავსებულია უსდ-ს ვებ-გვერდზე www.bsu.edu.ge. სტუდენტები მათი კარიერული განვითარების, სტუდენტური სერვისების, ვაკანსიებისა და სხვა აქტივობების შესახებ ინფორმაციას იღებენ, როგორც სტუდენტური პორტალის https://portal.bsu.edu.ge ასევე უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით.

პროგრამის სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური, რომელიც ინტენსიურად ურთიერთობს, როგორც სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, აგრეთვე დამსაქმებლებთან. აღნიშნული სამსახურის მიერ როგორც ბსუ-ს ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა ეწყობა კარიერული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგ-კურსები და იმართება შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი მულტიფუნქციური ელექტრონული პორტალის მეშვეობით რეგულარულად აწვდის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ და ბსუ თანამშრომლობს არაერთ პარტნიორ დამსაქმებელ ორგანიზაციასთან, ინტერვიუს დროს სტუდენტთა უმრავლესობის მხრიდან აღინიშნა, რომ პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრა/სემინარებში მონაწილეობა არ მიუღიათ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია

მეტად გააქტიურდეს შეხვედრები სტუდენტებისთვის პოტენციურ დამსაქმებლებთან რათა მათ შეეძლოთ მეტი ინფორმაციის მიღება კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.

სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე აქვთ წვდომა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მასალებზე, სასწავლო გეგმასა და აკადემიურ კალენდარზე.

აღსანიშნავია, რომ Covid-19-ის პანდემიის პირობებში დიდი ზომის ფაილების მათ შორის: სალექციო მასალების განთავსება ბსუ-ს მიერ ხდება სტუდენტურ პორტალზე https://portal.bsu.edu.ge ასევე, დისტანციურ სწავლებაში აქტიურად გამოიყენება პროგრამა Zoom.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტუდენტური პორტალის საშუალებით სტუდენტს, ონლაინ რეჟიმში ნებისმიერ დროს შეუძლია მიიღოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ამავე პორტალის მეშვეობით სტუდენტს საშუალება აქვს მისწეროს წერილი ბსუ-ს რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, დეკანს და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს მისთვის საჭირო საკითხებთან დაკავშირებით. სტუდენტური პორტალი თავისი მულტიფუნქციური შესაძლებლობებით ამარტივებს სტუდენტთა სერვისებით სარგებლობას, რაც მისასალმებელი პრაქტიკაა.

უნივერსიტეტში, სტუდენტთა კონსულტაციის პროცესში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალიც. განათლების სფეროში მოქმედი რეგულაციებით, პერსონალი ვალდებულია განახორციელოს საკონსულტაციო მომსახურება.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 9 ოქტომბრის #111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად გათვალისწინებულია სტუდენტების მიერ შუალედური ან დასკვნითი შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა. სტუდენტთა ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის ფარგლებში სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი განმავითარებელი უკუკავშირი. პროგრამის კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ კარგი იქნებოდა თუ ექნებოდათ შესაძლებლობა მიეღოთ დეტალური განმარტებები როგორც აქტივობებზე აგრეთვე შუალედურ და საბოლოო გამოცდებზე მათ მიერ დაშვებული შეცდომებისა და მათი გამოსწორების გზების შესახებ.

სტუდენტებმა ინტერვიუს პროცესში ასევე აღნიშნეს, რომ შიდა საუნივერსტეტო გამოკითხვებს პერიოდულად ატარებს ბსუ და მსგავს აქტივობებში მათ არაერთხელ მიუღიათ მონაწილეობა.

ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა და დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის პირობებში უნივერსიტეტმა არცერთ სტუდენტს არ შეუჩერა სტუდენტის სტატუსი თანხის გადაუხდელობის გამო, რაც ასევე აღსანიშნავი და მისასალმებელი პრაქტიკაა.

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის შედეგად ბსუ-ს ადმინისტრაციასთან განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე, ირკვევა, რომ სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის ტრენინგებში, პროექტებსა და კონფერენციებში. თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტუდენტთა ჩართულობა მსგავს აქტივობებში ძალიან დაბალია. უნივერსიტეტს აღნიშნული საკითხი იდენტიფიცირებული აქვს და ბსუ-ს მიერ წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში, ერთ-ერთ განსავითარებელ ღონისძიებად მითითებულია სტუდენტთა საუნივერსიტეტო კონფერენციებში ჩართულობის მიზნით წამახალისებელი აქტივობის დაგეგმვა.

ინტერვიუების შედეგად ასევე დადგინდა, რომ Covid-19-ის პანდემიის პერიოდში არ ჩატარებულა არცერთი კონფერენცია ბსუ-ს ფილოსოფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ორგანიზებით. განათლების უფლების სრულყოფილად რეალიზებისთვის მნიშვნელოვანია მისი მოქნილობა, ის ადაპტირებულია მხოლოდ მაშინ, თუ იგი იცვლება საზოგადოებაში წარმოშობილი საჭიროებების შესაბამისად და პასუხობს არსებულ გამოწვევებს. შესაბამისად მნიშვნელოვანია კონფერენციებისა და ტრენინგების დაგეგმვა დისტანციურ ფორმატში ან/და კოვიდ რეგულაციების დაცვით.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი გარკვეული სიხშირით იღებენ ინფორმაციას საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ. სტუდენტთა ინფორმირებულობას გაცვლითი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, უძღვება ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთოიერთობათა დეპარტამენტი. შესაბამისი ინფორმაცია კი ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ფაკულტეტის საინფორმაციო დაფებზე და სამსახურის სიახლეებში. კონკურსის გამოცხადებას კი წინ უძღვის საინფორმაციო პრეზენტაცია. პროგრამის აქტიურ და კურსდამთავრებულ სტუდენტებთან

განხორციელებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ნაკლებია დაინტერესება და ჩართულობა გაცვლითი პროგრამების მიმართ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აღნიშნული საკითხი უნივერსიტეტს იდენტიფიცირებული აქვს და წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში, ერთ-ერთ განსავითარებელ ღონისძიებად მითითებულია გაცვლითი პროგრამების შესახებ სტუდენტებთან შეხვედრების ორგანიზება მათი დაინტერესების მიზნით. დაწესებულების ადმინისტრაციასთან და სტუდენტებთან ინტერვიუების მიმდინარეობის პროცესში გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაფართოების მიზნით, საჭიროა მეტად გაძლიერდეს საერთაშორისო სასწავლო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ფილოსოფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; o ფილოსოფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; o ბსუ-ს წესდება; o ფაკულტეტის დებულება; o აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები; o სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N5 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულება“; o სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის დებულება o ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 18 ოქტომბრის N 01-08/136 ბრძანება ბსუ-ს სტუდენტთა ელექტრონული სერვისების მართვის წესის დამტკიცების შესახებ o ბსუ-ს რექტორის ბრძანება აკად. პერსონალის სამუშაო განრიგის (სააუდიტორიო და საკონსულტაციო საათები) დამტკიცების შესახებ o აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;

- ბსუ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბერის დადგენილება №111 „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“
- სტუდენტური პორტალი https://portal.bsu.edu.ge/ ;
- ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ჩართულობით.
- საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაფართოების მიზნით, სასურველია მეტად გაძლიერდეს საერთაშორისო სასწავლო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობა.
- სასურველია, ადმინისტრაციის მხრიდან გაცვლითი პროგრამების შესახებ სტუდენტებთან შეხვედრების ორგანიზება მათი დაინტერესების მიზნით.
- სასურველია სათანადოდ უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტთა განმავითარებელი უკუკავშირი, მიმდინარე აქტივობებზე, შუალედურ და საბოლოო გამოცდებზე მათ მიერ დაშვებული შეცდომებისა და მათი გამოსწორების გზების შესახებ ინფორმაციის მეტად მიწოდების გზით.
- სასურველია ფაკულტეტის მხრიდან გააქტიურდეს კონფერენციებისა და ტრენინგების დაგეგმვა დისტანციურ ფორმატში ან/და კოვიდ რეგულაციების დაცვით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ელექტრონული პორტალი, რომელიც გამოირჩევა თავისი მულტიფუნქციური შესაძლებლობებით და ამარტივებს სტუდენტური სერვისებით სარგებლობას.
- ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის ფონზე უნივერსიტეტმა ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტებს, თანხის გადაუხდელობის გამო

არ შეუჩერა სტუდენტის სტატუსი და მისცა საშუალება გაეგრძელებინათ სწავლა. o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **v** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომი სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს, რომელსაც სტუდენტი დამამთავრებელ სემესტრში წერს. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან და პროგრამის კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ თითოეულ მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური, დარგის შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე ხელმძღვანელი. უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და ხელმძღვანელობის პროცესი

რეგულირდება ბსუ-ის აკადემიური საბჭოს №111 დადგენილებით და სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით.

სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბსუ-ს პროფესორი/ასოცირებული პროფესორი ან დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ასისტენტ პროფესორი/სამეცნიერო თანამდებობის პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია სამაგისტრო ნაშრომის მიმართულებით.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იღებენ საჭირო მასალებსა და ინფორმაციებს სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით, ასევე აღნიშნეს ხელმძღვანელების მხრიდან მზაობა ნებისმიერ დროს გაუწიონ შესაბამისი დახმარება მათ.

ამასთან, აქტიურ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება გამოკითხვა იმის შესახებ თუ რამდენად კმაყოფილები არიან სტუდენტები გავლილი სასწავლო კურსით, სადაც შეუძლიათ დააფიქსირონ თავიანთი შეხედულებები ანონიმურად.

სამაგისტრო თემას სტუდენტი ასრულებს პროგრამით შეთავაზებულ მოდულებში: ქართული ფილოსოფია თანამედროვეობის კონტექსტში; ეთიკა და პოლიტიკური ფილოსოფია. მაგისტრანტი საკვლევ თემას ირჩევს თავისი ინტერესების შესაბამისად სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით და თანამედროვე პრობლემატიკის გათვალისწინებით.

ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშით ვიგებთ, რომ უნივერსიტეტს შეძენილი აქვს პლაგიატის დეტექტორის პროგრამა „turnitin" რომლის გამოყენებაც შესაძლებელია საჭიროებისამებრ. ბსუ-ში შემუშავებულია სასწავლო პროცესში პლაგიატის გამოვლინებისა და რეაგირების პროცედურა. აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფაქტების გამოვლენა შესაძლებელია როგორც მატერიალური სახით წარმოდგენილი მასალის დამუშავებით, ასევე ელექტრონულად, ანტიპლაგატის პროგრამის მეშვეობით.

ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა დაწესებულლების მიერ მოწოდებული 7 სამაგისტრო ნაშრომი, რომელთა უმეტესობა თემატიკის და შესრულების მხრივ იყო საინტერესო და გამართული. ნაშრომების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტების მიერ საკვლევი თემის გარშემო გამოყენებული ლიტერატურათა რაოდენობა საკმაოდ მცირეა. ამასთან ზოგიერთი სამაგისტრო ნაშრომის ლიტერატურა და შესაბამისი მიმოხილვა უმეტესად მოიცავდა ქართულ და

რუსულენოვან წყაროებს. სასურველია, რომ სტუდენტებმა გამოიყენონ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები, რომლებთან წვდომაც უზრუნველყოფილია საუნივერსიტეტო სივრცეში. შესაბამისად, სასურველია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას სტუდენტებს დამატებით კონსულტაცია გაეწიოთ, რათა ნაშრომები ეფუძნებოდეს თემის გარშემო არსებულ მრავალფეროვან ლიტერატურას (კვლევებს, სამეცნიერო სტატიებს და სხვა) რათა მეტად მოხდეს სტუდენტთა კვლევითი უნარების ჩამოყალიბება. რაც თავისთავად გულისხმობს კვლევით სამუშაოებს, რომელიც მიმართულია მაგისტრატურის სტუდენტის უნარის განვითარებაზე დამოუკიდებელ თეორიულ და პრაქტიკულ მსჯელობასა და დასკვნების გაკეთებაში. მნიშნელოვანია აღინიშნოს, რომ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას მაგისტრანტს მოეთხოვება შესაბამისი ლიტერატურის შესწავლა, ექსპერიმენტის ან კვლევის ჩატარება და დასკვნების გაკეთება. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია ისეთი საგანი, როგორიცაა ფილოსოფიური კვლევის მეთოდიკა და პრაქტიკა, ამ საგნით მიღებული ცოდნა და უნარები ნაკლებად აისახება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; o ფილოსოფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; o აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები; o ფილოსოფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები; o აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები; o ბსუ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბერის დადგენილება №111 „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ o აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის დადგენილება № 06-01/71 აკადემიური პერსონალის კეთილსინდისიერების დაცვის წესის დამტკიცება o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o სასურველია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას სტუდენტებს დამატებით კონსულტაცია გაეწიოთ, რათა ნაშრომები ეფუძნებოდეს თემის გარშემო არსებულ მრავალფეროვან ლიტერატურას (კვლევებს, სამეცნიერო სტატიებს და სხვა) და მეტი ყურადღება დაეთმოს სამეცნიერო ბაზების გამოყენებას თანამედროვე კვლევების ანალიზთან დაკავშირებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსები უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამის მდგრად, სტაბილურ და ეფექტურ ფუნქციონირებას. ამ მტკიცების საფუძველია შემდეგი გარემოებები:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის საკმარისი პროგრამის წარმატებულად განხორციელებისთვის;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსით უზრუნველყოფილია განსახორციელებელი პროგრამის მდგრადობა;
- ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების თანაფარდობა არის საკმარისი პროგრამის ეფექტურად განხორციელებისათვის;
- პროგრამის წარმატებულად განხორციელებისათვის გათვალისწინელებელია საკმარისი რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი;
- პერსონალი მაღალი კვალიფიკაციისაა, რასაც მოწმობს მათ მიერ ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები და სხვა სამეცნიერო და კვლევითი მაჩვენებლები;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალი კომპეტენტურია, რაც დასტურდება მათი სამეცნიერო და პედაგოგიური მიღწევებით, რომლებიც ასახულია მათ CV-ებში;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია. იგი ჩართულია პროგრამის განხორციელებაში ჯგუფთან ერთად:
- აკადემიური პერსონალი არჩეულია ღია და გამჭირვალე კონკურსის წესით, რაც დასტურდება უნივერსიტეტის რეგულაციებით;
- პერსონალის საკონკურსო მასალები დაცულია ბაზებში;
- როგორც ძირითადი, ასევე მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა შემუშავებულია სწორად. მასში გათვალისწინებულია მოწვეული პერსონალის დატვირთვა სხვა უნივერსიტეტებში;
- გაწერილია სტუდენტებთან კონსულტაციების განრიგი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს რეგულაციები (დამტკიცებული საბჭოს სხდომაზე) აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი და მათი საქმიანობის შეფასების წესი
- პერსონალის პირადი საქმეები და CV
- პერსონალის პუბლიკაციების სია
- პერსონალის საკონფერენციო აქტიობები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- აკრედიტაციის ვიზიტი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

0 გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ეფექტური ფუნქციონირების მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს პერსონალის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს: ტარდება ტრენინგები, კონფერენციები, სემინარები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, პროექტები, რაც ემსახურება პროფესიული და სწავლების უნარის განვითარებას და უზრუნველყოფს კომპეტენტური კადრების შეინარჩუნებას და მოზიდვას. კერძოდ, უკვე ჩატარებული ღონისძიებებია: 2021 წელი: ● ვებინარი: პლაგიატის პრევენციის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით: „ერთად ვებრძოლოთ პლაგიატს“. 2020 წელი: ● ტრენინგი: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და აკრედიტაციის სტანდარტები“. ● ტრენინგი: „ონლაინ-სამეცნიერო ბაზებთან მუშაობის პრინციპები“ 2019 წელი: ● ჰეგელის სკოლა. სკოლას უძღვებოდა ურბინოს უნივერსიტეტის პროფესორი ჯაკომო რინალდი ● პროფესორ-მასწავლებელთა და მკვლევართა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსში - „გერმანული იდეალიზმის ფილოსოფია“. ● ტრენინგი: სწავლისა და სწავლების აქტუალური საკითხები.

2018 წელი:

- ,,აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისათვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებო დაწესებულებებში“

2017 წელი:

- ხარისხის სამსახურის ტრენინგი: სწავლების თანამედროვე მეთოდები და სიახლეები.
- ტრენინგი „სასწავლო კურსის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება“.

კონფერენციები:

2019 წელი:

- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბიზანტინოლოგია საქართველოში - 5“.

2018 წელი:

- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-III“.
- ფილოსოფიური სემინარი თემაზე -„ჰერაკლიტე ეფესელი და ფრიდრიხ ნიცშე“.

2017 წელი:

- ილიას უნივერსიტეტის პროფესორის, თამარ ცოფურაშვილის საჯარო ლექციები თემაზე: „სამოქალაქო თავისუფლების რამდენიმე ასპექტისათვის“.

2016 წელი:

- სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის დაარსებიდან 70 წლის თავთან დაკავშირებით, სამეცნიერო პუბლიკაციების შესახებ საინფორმაციო გასვლითი შეხვედრა;

2015 წელი:

- კონფერენცია „უწყვეტი პროფესიული განვითარება აჭარაში: მიღწევები და შედეგები“

2020 წელი:

- CODFREURCOR-ის მე-8 სართაშორისო კონფერენცია „ეროვნული ლიტერატურა თარგმანში“.

2019 წელი:

- სეზონური სკოლა -„სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები". სეზონური სკოლა - სოციალური მუშაობის სერტიფიცირების პროგრამის მომზადება
- სამეცნიერო სემინარი“ – სამეცნიერო-კვლევითი პროექტის პრეზენტაცია: „ჰეგელის „რელიგიის ფილოსოფია“ და რუსული სახელმწიფოს კონსტრუირების იდეა“და სხვა ღონისძიებები.

2021 წელს დაგეგმილი ღონისძიებები:

- პროფესორ-მასწავლებლებისთვის იგეგმება დისკუსია და მრგვალი მაგიდა თემებზე: უნივერსიტეტის იდეა, ფილოსოფია საუნივერსიტეტო განათლების კონტექსტში და უმაღლესი განათლების პრობლემები და გამოწვევები:
- უმაღლესი განათლების წინაშე არსებული პრობლემები და ა.შ.

- უნივერსიტეტი აფინანსებს აკადემიური პერსონალის დასწრებას საერთაშორისო კონფერენციებსა და კონგრესებზე;
- უნივერსიტეტში შექმნილია პერსონალის კვლევისა და სწავლებისთვის მოსახერხებელი გარემო;
- უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის წახალისებისებისთვის გამიზნული წესები და აქტივობები, რათა უზრუნველყოს შრომის ნაყოფიერების ზრდა და მოტივაცია;
- უნივერსიტეტში ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ანალიზი;
- უნივერსიტეტი ცდილობს ხელი შეუწყოს პერსონალის განვითარებას და პროფესიულ წინსვლას და ამისთვის მას შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს პედაგოგიურ, სამეცნიერო და სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში პერსონალის მონაწილეობის შეფასებას.

შეფასების პროცესი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- პროფესორ-მასწავლებლის ჩართულობა სასწავლო მასალის, სილაბუსებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგი;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა;
- სამეცნიერო ღონისძიებებსა და მათ ორგანიზებაში მონაწილეობა;
- სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ჩართულობა;
- სამეცნიერო ნაშრომების ხარისხობრივი ანალიზი;

- სამეცნიერო პროექტებში დოქტორანტებისა ან/და მაგისტრანტების ჩართვა;
- საბაკალავრო, სამაგისტრო ან/და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა;
- სამეცნიერო სემინარების ჩატარება;
- სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა და სხვ.

პერსონალის შეფასება ხორციელდება ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, რომელიც მოიცავს როგორც პედაგოგიური, ისე სამეცნიერო საქმიანობის კომპონენტებსაც.

პერსონალის შეფასების შედეგები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის არჩევის წესში, რაც ზრდის პროფესორ-მასწავლებელთა პასუხისმგებლობას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას.

2019 წელს სამეცნიერო საქმიანობის შეფასების პროცესში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით შეფასების წესში შეტანილი იქნა გარკვეული ცვლილებები, რამაც შეფასების პროცესი უფრო გამჭვირვალე და ობიექტური გახადა.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით, დამტკიცდა სამეცნიერო კვლევის პოლიტიკა და განისაზღვრა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სავალდებულო მოთხოვნები.

შეფასების პროცესში ყურადღება გამახვილდა სამეცნიერო ნაშრომების საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებაზე. კერძოდ, შეფასების კომპონენტებად განისაზღვრა:

- სამეცნიერო ნაშრომები/გამოგონება/პატენტი
- სამეცნიერო ნაშრომების ინდექსირება Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ან Google Scholar ან სხვა საერთაშორისო ბაზებში;
- გამოგონების/პატენტის რეგისტრირება ეროვნულ ან საერთაშორისო საპატენტო ორგანიზაციებში.
- სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა: სამეცნიერო ღონისძიების აბსტრაქტების/ გამოცემების ინდექსირება Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ან Google Scholar ან სხვა საერთაშორისო ბაზებში;

- გამარჯვებულ/დაფინანსებულ სამეცნიერო საგრანტო პროექტებში (საერთაშორისო, ეროვნულ ან/და საუნივერსიტეტო) მონაწილეობა ან/და შესაბამის საგრანტო კონკურსში მაღალი შეფასების (80% და მეტი) მიღება;
- სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა ან სამეცნიერო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობა ან საბაკალავრო/სამაგისტრო /სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა ან სამეცნიერო სემინარების ჩატარება ან სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა ან სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის წევრობა ან მონოგრაფიის რედაქტორობა ან სამეცნიერო ნაშრომის რეცენზირება ან საექსპერტო მომსახურება.
- პროცესის ანალიზის საფუძველზე ხდება გამოვლენილი ხარვეზების განხილვა და მუშავდება რეკომენდაციები, რომლის საფუძველზეც იგეგმება გასატარებელი ღონისძიებები პროგრამის გაუჯობესებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით.
- პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, კურიკულუმის კომიტეტი, ადმინისტრაციული ერთეული, დამსაქმებელი და სხვ.) მონაწილეობას, პროგრამის განხორციელების უწყვეტ მონიტორინგს და მუდმივ განვითარებას.

პერსონალის შეფასების და პროფესიული წინსვლის ხელშეწყობა ბსუ-ში ეფუძნება ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზს და კონკურენტული გარემოს შექმნას.

პერსონალის შეფასება მოიცავს:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი და საუნივერსიტეტო აქტივობის შეფასებას;
- სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასებას;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის (პროფესიულ მასწავლებელთა პერსონალის/პროგრამის ხელმძღვანელების) საქმიანობის შეფასებას;

შეფასება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- პროფესორ-მასწავლებლის ჩართულობა სასწავლო მასალის, სილაბუსებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგი;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა;
- სამეცნიერო ღონისძიებებსა და მათ ორგანიზებაში მონაწილეობა;
- სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ჩართულობა;
- სამეცნიერო ნაშრომების ხარისხობრივი ანალიზი;
- სამეცნიერო პროექტებში დოქტორანტებისა ან/და მაგისტრანტების ჩართვა;
- საბაკალავრო, სამაგისტრო ან/და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა;
- სამეცნიერო სემინარების ჩატარება; სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა და სხვ.;

შეფასება მოიცავს:

- სამეცნიერო ღონისძიებებსა და მათ ორგანიზებაში მონაწილეობას;
- სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ჩართულობას;
- სამეცნიერო ნაშრომების ხარისხობრივ ანალიზს;
- სამეცნიერო პროექტებში დოქტორანტებისა ან/და მაგისტრანტების ჩართვას;
- საბაკალავრო, სამაგისტრო ან/და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობას;
- სამეცნიერო სემინარების ჩატარებას;
- სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობას,
- სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის წევრობას,
- მონოგრაფიის რედაქტორობას,
- სამეცნიერო ნაშრომის რეცენზირებას და სხვ.;

პერსონალის შეფასებაზე პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება:

ა) **აკადემიური და მოწვეული** პერსონალის საქმიანობის შეფასების ანალიზის საფუძველზე, პროგრამის ხელმძღვანელი დეპარტამენტის ხელმძღვანელთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს, ანგარიშს წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ხოლო მათ მიერ საბოლოო ანგარიში შეფასების შედეგად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რეკომენდაციების სახით წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს და აკადემიურ საბჭოს.

ბ) **სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის** შეფასების პროცესს, შესაბამისი

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორთან ერთად კოორდინაციას უწევს ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახური და ინფორმაციას წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციებს წარუდგენს რექტორს და აკადემიურ საბჭოს; ბსუ-ში პერიოდული კვლევები მოიცავს: ● აფილირებულ და არააფილირებულ აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის თანაფარდობას, ● აკადემიური/მოწვეული პერსონალის დენადობას, სამეცნიერო ნაშრომების, კონფერენციებში პროფესორ-მასწავლებელთა ჩართულობას, სასწავლო და სამეცნიერო პროცესში ჩართული უცხოელი პერსონალის, სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას და ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დასკვნა/რეკომენდაციების შემუშავებას. პერიოდული კვლევების წარმოებაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. კვლევის პროცესში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, აქტიურადაა ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პერსონალი, ხოლო რეკომენდაციების შემუშავების პროცესში - პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ადმინისტრაცია და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. კვლევის შედეგები აისახება პროგრამის შეფასების სისტემაში, რომელიც გამოიყენება, როგორც პროგრამის განვითარების, ისე პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ● 2018 წლის 13 ივლისს #04 გადაწყვეტილება პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე

- სამეცნიერო პერსონალის შეფასების პროცესი: ბსუ-ს აკადემიურისაბჭოს 2017 წლის 18 ივლისის N66 დადგენილებით დამტკიცებული პროცედურები

- სტატისტიკური მაჩვენებლები პერსონალის შესახებ;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები - ტრენინგები, კონფერენციები, მივლინებები...);
- გამოქვეყნებული შრომები, საერთაშორისო აქტიობების მაჩვენებლები, მემორანდუმები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებულ იქნება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა. სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ: ● სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები ● კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა ● კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზითა და ბიბლიოთეკით, სადაც განთავსებულია ყველა საჭირო ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში არის პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ყველა ძირითადი ლიტერატურა როგორც წიგნების, ასევე ელექტრონული ფორმით. სტუდენტებს აქვთ საშუალება მოითხოვონ და მიიღონ ისინი - არის შესაძლებლობა დისტანციურად მონახოს და დაჯავშნოს მისთვის საინტერესო რესურსი; სურვილის შემთხვევაში მათ შეუძლიათ ადგილზე გადაიღონ საჭირო მასალების ასლები.

ბიბლიოთეკას აქვს წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე: Elsevier-ის ScienceDirect-ის და Scopus-ის ბაზებზე. EBSCO Publishing,, Cambridge University Press, Royal Society Journals Collection, BioOne.

უნივერსიტეტის ზემოთ მითითებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიების გარდა, უნივერსიტეტში არის კომპიუტერებით აღჭურვილი თავისუფალი სამუშაო სივრცეები, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ იმუშაონ როგორც ჯგუფურად, ისევე ინდივიდუალურად.
უნივერსიტეტში არის ყველა პირობა პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის. უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე არის უკაბელო ინტერნეტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის განცხადებით, ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება არის უნივერტსიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტი. რაც თავისთავად მოიაზრებს სამაგისტრო პროგრამის განხორციელებას და მის ხელშეწყობას. აქედან გამომდინარე, პროგრამის დაფინანსების მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება.

პროგრამის ბიუჯეტში შემოსავალი შეადგენს 45000 ლარს, ხოლო ხარჯი 40080 ლარს. პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტის შემოსავლები განსაზღვრულია სტუდენტების გადასახადებისაგან - შემოსავლები დათვლილია 20 სტუდენტზე, სწავლის გადასახადი - 2250 ლარი. ხარჯების ძირითადი ნაწილი განსაზღვრულია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურების ხარჯებით - 22080ლარი, ხოლო არაპირდაპირი (პროგრამის განვითარებისკენ მიმართული ხარჯებისთვის - 18000ლარი). პროგრამის ბიუჯეტი, გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან, გასაუბრება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან აჩვენებს, რომ პროგრამის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ბიუჯეტში ჩაშლილი იყოს პროგრამის განხორციელებისა და განვითარებისათვის საჭირო ხარჯები. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვთვლით რომ პროგრამის მდგრად დაფინანსებას საფრთხე არ ემუქრება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ბიუჯეტში ჩაშლილი იყოს პროგრამის განხორციელებისა და განვითარებისათვის საჭირო ხარჯები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **v** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	**v**			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს

და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით და ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით. ასევე, შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი, რომელშიც გაწერილია პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) მონაწილეობა, პროგრამის განხორციელების უწყვეტი მონიტორინგი და განვითარება. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტური განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობასა და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს როგორც საუნივერსიტეტო, ისე საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და კოორდინატორები დარგობრივ დეპარტამენტებში. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე". საფაკულტეტო დონეზე ხარისხის უზურნველყოფის სამსახური ჩართულია კვლევების ჩატარებაში, გამოკითხვების ანალიზში, საჭიროებისას ხდება არსებული კითხვარების მოდიფიცირება. საუნივერსიტეტო დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკეთებს მოხსენებებს/ანგარიშს ჩატარებული კვლევების შესახებ და გასცემს რეკომენდაციებს. შიდა ხარისხის შეფასებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინირებას როგორც გამოკითხვებს, ასევე, სასწავლო პროცესზე დასწრებას, რესურსების (ლაბორატორიული აღჭურვილობის, ბიბლიოთეკაში სახელმძღვანელოების არსებობის, და სხვ) არსებობის/საჭიროების მონიტორინგს და ა.შ.; ასევე ყურადღება ექცევა

სტუდენტების შეფასების ანალიზს (გაუსის განაწილებიდან გადახრას არსებობის შემთხვევაში ხდება უფრო ჩაღრმავებული კვლევა); კვლევის ანალიზით მიღებული შედეგები განიხილება პროგრამის ხელმძღვანელთან, ასევე ხდება განხილვა ფილოსოფიის დეპარტამენტის და ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე და წარედგინება აკადემიურ საბჭოს ანგარიშის სახით.

გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე იგეგმება გასატარებელი ღონისძიებები პროგრამის გაუჯობესებისა (მაგ. შეიძლება ცვლილებები განხორციელდეს პროგრამაში - სწავლება/სწავლის მეთოდების, ლიტერატურის თუ სასწავლო კურსის შინაარსის კუთხით) და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით. უნივერსიტეტში შემუშავებულია პერსონალის შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს შეფასების შემდეგ კომპონენტებს: პროფესორ-მასწავლებლის ჩართულობა სასწავლო მასალის, სილაბუსებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში; სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგები; სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები; სამეცნიერო ღონისძიებებსა და მათ ორგანიზებაში მონაწილეობა; სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ჩართულობა; სამეცნიერო ნაშრომების ხარისხობრივი ანალიზი; სამეცნიერო პროექტებში დოქტორანტებისა ან/და მაგისტრანტების ჩართვა; საბაკალავრო, სამაგისტრო ან/და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სამეცნიერო სემინარების ჩატარება; სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა და სხვ.; დაწესებულების პერსონალის სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის თვითშეფასების ანალიზი ხორციელდება სამეცნიერო კვლევების სამსახურის, რექტორის მოადგილის, დეკანის, დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ. უსდ-ს წარმოდგენილი აქვს:

- დამსაქმებელთა გამოკითხვა -მონაწილეობა მიიღო 9 რესპოდენტმა,
- ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების 2018-2019 სასწავლო წლის I სემესტრის აკადემიური მოსწრების სტატისტიკა,
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები - -მონაწილეობა მიიღო 3 რესპოდენტმა,
- პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვა - -მონაწილეობა მიიღო 9 რესპოდენტმა;
- სტუდენტთა გამოკითხვა -ელექტრონული სასწავლო პროცესის შეფასება - საგნობრივი - მონაწილეობა მიიღო 1/2/5 რესპოდენტმა;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმოადგინა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის და ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიის პროექტები, რომელთა გაუმჯობესებასა/შემუშავებაზე მუშაობს და გეგმავს ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავების შემდეგ ბაზრის კვლევის ჩატარებაა დაგეგმილი.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს შევხვდით სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს რომ ჩართულნი იყვნენ პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცესში და ხდებოდა მათი მოსაზრებების გათვალისწინება - პროგრამაში პრაქტიკული მხარის გაძლიერება.

ინტერვიუში მონაწილეობდა დღის წესრიგით განსაზღვრული დამსაქმებლების ნაწილი, მათ შორის ერთი მითითებული მონაწილე შეცვალა მისმა კოლეგამ. ინტერვიუში მონაწილე დამსაქმებლებს წარმოდგენილ გამოკითხვაში მონაწილეობა არ ჰქონდათ მიღებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;*
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი;
- ჩატარებული კვლევები და ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გარე შეფასების მექანიზმებია - ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები გაითვალისწინება პროგრამის განვითარებისას და განხორციელებისას;

დაწესებულება თვითშეფასების ანგარიშში მიუთითებს რომ პროგრამის შესაფასებლად გამოიყენა გარე შემფასებლის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ფილოსოფიის დოქტორის, ასოცირებული პროფესორის მ. ლ-ს კოლეგიალური შეფასება და მისი რეკომენდაციების გაანლიზების შედეგად, პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილიბები:

- მოდულები დალაგდა ლოგიკური კანონზომიერების გათვალისწინებით
- სასწავლო კურსების გადაფარვის გამორიცხვის თვალსაზრისით გაერთიანდა რამდენიმე სასწავლო კურსი
- მკვეთრად შემცირდა სასწავლო კურსების რაოდენობა

თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ გარე შემფასებლის მიერ შეფასების რაიმე დოკუმენტი სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილი არ ყოფილა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- o უნივერსიტეტში ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რაც მოიცავს სასწავლო და საგამოცდო პროცესის მონიტორინგს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს, ურთიერთდასწრებას, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზს. ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებით, საგნობრივი გამოკითხვები - ლიტერატურა, სწავლება სწავლის მეთოდები, შეფასებები, ტარდება ასევე პედაგოგების გამოკითხვები.
- o უსდ-ს შექმნილი აქვს ელექტრონული პორტალი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ეფექტიანად ხარისხის შიდა მექანიზმების განხორციელება - მათ შორის, გამოკითხვების ჩატარება, მონაცემების დამუშავება, პერსონალის შეფასება, სტუდენტებისთვის სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდება და სხვ.
- o საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისთვის დაწესებულება იყენებს პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვასაც და მათი მოსაზრებების გათვალისწინება ხდება პროგრამაში. აღნიშნულ ელექტრონულ პორტალზე ხდება პოტენციური დამსაქმებლების რეგისტრაცია და მათ გამოკითხვასთან

ერთად, ხდება დამსაქმებლების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება.

- ელექტრონული პორტალის მეშვეობით კონტროლდება შეფასებების დროულობა, შეფასებასთან დაკავშირებული უკუკავშირი (რომელიც პორტალის საშუალებით სავალდებულოა. კომენტარის გარეშე პედაგოგი შესრულებას ვერ დაასრულებს).
- სალექციო პროცესის მონიტორინგის და გაუმჯობესების მიზნით გამოიყენება ლექციებზე დასწრება. დისტანციურ სასწავლო პროცესზე გადასვლის შემდეგ ელექტრონულ პორტალზე ჩაშენებული შესაბამისი "ღილაკის" მეშვეობით შესაბამისი ავტორიზაციის მქონე პირს/პირებს შეუძლია შეუერთდეს სალექციო პროცესს და შეაფასოს იგი.
- აკადემიური პერსონალის შეფასება ხდება ორი მიმართულებით - აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობით - უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პორტალი, რომელზეც პერსონალი ავსებს წლის განმავლობაში განხორციელებულ აქტივობებს და ტვირთავს დამადასტურებელ დოკუმენტაციას. შეფასება ხორციელდება ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესით განსაზღვრული პირების მიერ
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ კვლევების შედეგების წარდგენა ხდება ფაკულტეტის საბჭოზე და წამოჭრილი საკითხების გათვალისწინება ხდება პროგრამის განვითარებისთვის. პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობასა და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o ელექტრონული პორტალი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ეფექტიანად ხარისხის შიდა მექანიზმების განხორციელება - მათ შორის, გამოკითხვების ჩატარება, მონაცემების დამუშავება, პერსონალის შეფასება, სტუდენტებისთვის სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდება და სხვ.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ფილოსოფია, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 74

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო ჯოჯუა 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა თინათინ ბოჭორიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა მიხეილ გოგატიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა მაკა აბულაძე